# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

20 აპრილი
ხუთშაბათი
2023 წელი
№17 (9279)
ფასი 40 თეთრი

## იწყება კურორტების განვითარების პროგრამა




ქალაქებისა და კურორტების განვითარების სახელმწიფო პროგრამა იწყება, რომელიც შემდგომი 5 წლის განმავლობაში განხორციელდება და მისი ბიუჯეტი 1 მილიარდი ლარი იქნება.

პროგრამა უახლოეს პერიოდში დაიწყება. მის განსახორციელებლად, 2023 წელს გათვალისწინებულია 200 მილიონი ლარი. პირველი ეტაპის სამუშაოები მოიცავს შემდეგ მდებარეობებს: **ბორჯომი, ბაკურიანი, ქუთაისი, წყალტუბო, თელავი, ზუგდიდი, ბათუმი, მცხეთა, სტეფანწმინდა, მესტია, ყაზბეგი.**

სამუშაოები ითვალისწინებს კულტურული და ისტორიული შენობების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციას, განახლდება-მოეწყობა რეკრეაციული სივრცეები და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, შეიქმნება ახალი ტურისტული ატრაქციები.

## ალდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამის ფარგლებში, დადგენილება №96-ის საფუძველზე, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, 702 ბენეფიციარს ერთჯერადი მატერიალური დახმარე გაეწია. მატერიალური დახმარება 100 ლარის ოდენობით ჩაერიცხათ:**




- მრავალშვილიან ოჯახებს;
- 18 წლამდე ასაკის შშმ პირებს;
- 18 წლის ზემოთ I ჯგუფის შშმ პირებს;
- მარტოხელა მშობლებს;
- დიდი სამამულო ომის ვეტერანებს;
- დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან გათანაბრებულ პირებს;
- დიდ სამამულო ომში გარდაცვლილი ოჯახის წევრებს;
- ომის შემდგომ პერიოდში გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომის მონაწილე ვეტერანებს (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 160 000-ს);
- საქართველოს მთლიანობისთვის ომის შშმ პირებს;
- ავღანეთის ომის ვეტერანებს;
- ჩერნობილის აფეთქების დროს მოწამლულ პირებს;
- 9 აპრილის მშვიდობიანი აქციის დარბევისას მოწამლულ პირებს

## იწმინდება მაღალმთიან სოფლებთან მისასვლელი გზა



მაღალმთიან სოფლებთან დამაკავშირებელი გზის წმენდა უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს.

ბაკურიანიდან მაღალმთიან სოფლებთან: მოლითთან, ტაბაწყურთან, ბალანთასთან და ჭიხარულასთან დამაკავშირებელი გზა თოვლისაგან იწმინდება. ადგილზე მობილიზებულია შესაბამისი ტექნიკა.

შეგახსენებთ, რომ დიდთოვლობის გამო, ზემოთ აღნიშნული გზის მონაკვეთი ოქტომბრიდან აპრილამდე იკეტება.

## მზადება გაზხულის საკურორტო სეზონისათვის



ბორჯომის ცენტრალურ (ისტორიულ) პარკში დაიწყო შელებვითი სამუშაოები. როგორც ყოველთვის, ვემზადებით ზაფხულის საკურორტო სეზონისათვის, რისთვისაც სრულდება სხვადასხვა სამუშაოები.

ამჟამად ილებება საბალე სკამები, რაშიც მონაწილეობას ილებენ პარკის თანამშრომლები.

## მოწოდება



ქართველნო! გამოვფხიზლდეთ!
ფართოდ გავახილოთ თვალი!
უწმინდესი მამაა ჩვენი
და წინამძღვარი,
უფლისკენ მიმავალი
გზის სათავეში მდგარი,
უწმინდესი ჩვენი, წინასწარმეტყველია,
ძველ წინასწარმეტყველთა დარი,
უწმინდესი დიდი მოწამეა,
ჩვენი ცოდვებისათვის ჯვარზე
გაკრული არის;
იგი მეცამეტე მოციქულია
მსგავსი მოციქულთა თავის.
საქართველოს მისი ღვაწლის გათავისება მართებს,
დავძლიოთ შემოტევა ბოროტისა და ავის,
ეკლესია-მონატრების საკუთარი ხელით ნგრევის
ცოდვა ჯერ კიდევ მხრებზე არის,
სულიერი ტაძრებისა და სიწმინდეების ნგრევით
ახალ ცოდვას ნუღარ გავამრავლებთ
წინ გავიხედოთ,
ჩვენ უკან ქართველთა მომავალი არის!
თუ გონს ვერ მოვეგებით და
ღმერთს არ გავიხსენებთ
გადაშენებისა და გაქრობის
ზღვართან ვართ მდგარნი!!!

თბილისი 06.02.23
**მონაზონი ელენე(ნაფეტვარიძე)**

## სამართლებრივი ცოდნის განმტკიცებისათვის



**სამცხე-ჯავახეთის** საოლქო პროკურორის მოადგილემ **დავით ნეფარიძემ** და პროკურორმა **გრიგოლ კაპანაძემ** პროექტი „საზოგადოებრივი პროკურატურის" ფარგლებში, ბორჯომის №1 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში სკოლის მოსწავლეებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს.

საინფორმაციო შეხვედრას ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე,** სამხარეო ადმინისტრაციისა და ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პროკურატურის წარმომადგენელმა ორგანიზებულ დანაშაულთან - „ქურდულ სამყაროსთან" ბრძოლის წინააღმდეგ დაკავშირებით ისაუბრეს. მათი თქმით, დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერებისთვის ერთ-ერთი კომპონენტი საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა. შეხვედრაზე მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია, როგორც არსებული კანონმდებლობის ასევე, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან გატარებული ღონისძიებების შესახებ. პროკურატურის წარმომადგენლებმა ასევე ისაუბრეს ისეთ გამოწვევებზე, როგორებიცაა „ქურდული სამყაროს" შესახებ საზოგადოებასა და მოზარდებში არსებული სტერეოტიპები და ამგვარი დანაშაულის განხორციელების საფრთხეები, რაც ხელყოფს საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებებს, აფერხებს ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ განვითარებას. ეწინააღმდეგება კანონის უზენაესობის პრინციპებს და საფრთხეს უქმნის ეროვნულ და საერთაშორისო უსაფრთხოებას.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. საოლქო პროკურატურის წარმომადგენლებმა მოსწავლეების შეკითხვებს ამომწურავად უპასუხეს.

## სოფლებს კეთილმოწყობილი გზები!



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის სოფელ ქვაბისხევში და ჭობისხევში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია უახლოეს მომავალში დაიწყება.

პროექტის ფარგლებში, სოფელ ქვაბისხევში ეკლესიასთან მისასვლელი და ჭობისხევის საჯარო სკოლის უკან მდებარე უბანში არმირებული ბეტონის საფარიანი გზა დაიგება.

შიდა სასოფლო გზების კეთილმოწყობის სამუშაოები ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება.

რატომ ვართ ღარიბები?!

# უმუშევრობა და სიღარიბე დიდი პრობლემაა!

**ეროვნული** სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში მცხოვრებთა მეხუთედი უმუშევარია, რაც არცთუ სახარბიელო სიტუაციაში აგდებს ქვეყნის მოსახლეობას. თუმცა სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ უმუშევართა დონე კიდევ უფრო მაღალია. სამწუხაროდ, უმუშევრობას ემატება დასაქმებულთა დაბალი ანაზღაურებაც. წორედ დასაქმებულთა დაბალი ანაზღაურებაა მათი სამშობლოდან საზღვარგარეთ წასვლის უპირველესი მიზეზი. ასეთ სიტუაციაში დამსაქმებლები მუშახელის არარსებობაზე წუწუნებენ და აცხადებენ: - ვაკანსიებს ვერ ვავსებთო და ავიწყდებათ, რომ დამსაქმებელს ღირსეული ანაზღაურება ესაჭიროება. ფაქტია, როცა ანაზღაურება დაბალია, მოქალაქეს არ უღირს ასეთ სამუშაოზე დასაქმება. ყოველივე ზემოთ თქმულს ემატება სამუშაოს მაძიებლის უაღრესად დაბალი კვალიფიკაცია.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა სწრაფად მოხდა, მაგრამ შრომის ბაზარზე მუშახელის გადამზადება, თანამედროვე პროფესიებისა და კვალიფიკაციის პროცესი თითქმის არ მომხდარა. როგორც ჩანს, მსოფლიო გლობალიზაციას ქართველები ჩამოვრჩით და ფეხი ვერ ავუწყეთ. 90-იან წლების მეორე ნახევარში, როცა ქვეყანაში სიტუაცია დაწყნარდა და სახელმწიფოში გაჩნდა ეკონომიკის განვითარების პერსპექტივა, სწორედ მაშინ დადგა სამუშაო ძალის გადაწყვეტის პრობლემა. გაირკვა, რომ მუშახელის კვალიფიკაცია ვერ პასუხობდა თანამედროვე მოთხოვნებს, ანუ მსოფლიო ბაზარს ვერ პასუხობდა დაბალი კვალიფიკაციის მუშახელი. მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოებას მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ესაჭიროება. ამ მომენტში საქართველოში დასაქმებული მუშახელი დაბალი კვალიფიკაციის აღმოჩნდა, ასე იყო ყოფილ საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებშიც.

ამ სერიოზულმა პრობლემებმა დღემდე მოაღწია და გასაკვირი არაა, ქვეყნიდან მუშახელის გადინების მზარდი პროცესი.

ბუნებრივად იბადება კითხვა, **დაბალპროფესიული მუშახელი საზღვარგარეთ ძირითადად სად, რომელ**



**სფეროშია დასაქმებული?** თვალებს არ დავუჯერე, როცა ამ ორიოდე თვის წინათ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ მონაცემებს გავეცანი, თურმე ევროპის განვითარებულ ქვეყნებში ანუ ევროგაერთიანებაში შემავალ სახელმწიფოებს (20 ქვეყანას) 135 მილიონი დაბალი კვალიფიკაციის მუშახელი ესაჭიროება (მეეზოვეები, მოხუცების მომვლელები, კაფე-რესტორნებში ჭურჭლის მრეცხავები, მიმტანები, მენაგვეები და ა.შ.).

როგორც ირკვევა, ჩვენში იაფი სამუშაო ძალაა, რა თქმა უნდა, დაბალკვალიფიციური მუშახელი დაბალი ხარისხის პროდუქციას გამოუშვებს. ამის მაგალითები ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება.

თუ გვინდა მაღალინტელექტუალური განათლების მქონე და შრომატევადი პროდუქციის წარმოება, ქვეყანაში უნდა მოქმედებდეს შესაბამისი პროგრამები და საწარმოები, რათა ავამაღლოთ სამუშაოეს მაძიებელთა პროფესიული დონე.

მეცნიერები სისტემატიურად არისხებენ ზარებს. თანამედროვე ეკონომიკის განვითარებას ესაჭიროება კვალიფიციური მუშახელი, მაგრამ მათი ხმაური რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". ფაქტია, თუ გვინდა ხარისხიანი პროდუქცია, უნდა გვყავდეს მაღალკვალიფიციური კადრები. საამისოდ კი საჭიროა განათლებაში ჩაიდოს დიდძალი ინვესტიცია. ქვეყნის წინსვლა დამოკიდებულია მაღალტექნოლოგიურ პროგრამების დანერგვაზე და უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტებზე, როგორც არასდროს, დღეს ქვეყანას ესაჭიროება კონკურენტუნარიანი სპეციალისტები. თანამედროვე წარმოების მართვა დაბალი განათლების ადამიანებით შეუძლებელია. კვალიფიციური კადრების აღზრდისათვის უნდა ზრუნავდეს კერძო ბიზნესი და სახელმწიფო.

სამწუხაროა, რომ დღეს ქვეყანაში და კერძოდ, ჩვენს მუნიციპალიტეტში კვალიფიციური კადრების აღზრდის არანაირი პროფესიული სასწავლებელი არ არსებობს. ისტორიული პროფტექნიკური სასწავლებლის ტერიტორიაზე „ჯეოჰოსპიტალსი" აშენდა, ხოლო ლიკანში დაწყებული პროფტექნიკური სასწავლებელი, რომელიც ჯერ კიდევ 2023 წლის იანვარში უნდა ჩამდგარიყო მწყობრში, შენობის მშენებლობა ჯერაც დაუმთავრებელია.

**ვალერიან ლომიძე.**
**(გაგრძელება იქნება).**

## წარსულიდან

# ჩვენი ხეობის დაარსების ისტორიისათვის

**მინერალური** წყლის საბადოზე დალევა ან აბაზანების მიღება, არ შეიძლება ჩაითვალოს კურორტის დაარსების თარიღად. კურორტი წარმოადგენს სამკურნალო კომპლექსს, თავისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით, რაც 1842 წლამდე კურორტს არ გააჩნდა. კურორტ ბორჯომის დაარსების ისტორია შემდეგში მდგომარეობს: მას შემდეგ, რაც 1841 წლის ზაფხულში კავკასიის მთავარმართებლის ევგენი გოლოვინის ქალიშვილს, ეკატერინეს მკურნალობა გამოჯანმრთელებით დასრულდა, სამხედრო ექიმმა ს. ამიროვმა მოხსენებითი ბარათით მიმართა ა. გოლოვინს, ბორჯომის კურორტად ჩამოყალიბების თობაზე. მიმართვას ხელი მოაწერეს თბილისის ჰოსპიტალის მთავარმა ექიმმა ივანე პრიბილმა (გენერალთან დაახლოებულმა პირმა), ჰოსპიტლის ორდინატორებმა ნოოდტმა და ი. პოპეიკომ, რომლებშიც ბორჯომის ჰოსპიტალში ავადმყოფებს ზაფხულობით აგზავნიდნენ სამკურნალოდ.

ამის შემდეგ გენერალმა ე. გოლოვინმა გასცა ბრძანება, დაეწყოთ მინერალური წყლის მეცნიერული შესწავლა და კურორტის მშენებლობა. დაიწყო გზების გაყვანა, აიგო ორი ხის სახლი, ერთი 6 ოთახიანი და მეორე 4 ოთახიანი ავადმყოფთა მოსათავსებლად. შეკეთდა აბაზანები, გაკეთდა ბორანი მდინარე მტკვარზე და სხვა. 1843 წლიდან ს. ამიროვმა დაიწყო მინერალური წყლის დეტალური შესწავლა და 502 ავადმყოფზე დაკვირვების შედეგები 1850 წელს გამოაქვეყნა სტატია - „ჩანაწერები ბორჯომის მინერალურ წყლებზე". თუ რას წარმოადგენდა ბორჯომი 1840 წლამდე ამის ნათელ წარმოდგენას იძლევა შემდეგი ჩანაწერები. ვილემსმა, რომელმაც ეკატერინეს მინერალური წყლის ანალიზი აწარმოვა - აღნიშნავს შემდეგს: **„ჩემი იქ ყოფნისას წყარო იყო სულ მიშვებული. შემორჩა რაღაც ხის ნაგებობები, რომლისგანაც დარჩა მხოლოდ ხის კედლები. სახურავი დიდი ხანია არ არსებობს (ალბათ პოლკოვნიკ პოპოვის აშენებული). ამისგან წყარო დაბინძურებულია მცენარეებით, ხოლო ქვებს, რომლებითაც წყარო მოპირკეთებულია ადევს მწვანე ლორწო".**

1837 წელს ერთ-ერთი ოფიცერი წერდა: **„წყაროებთან მდინარე მტკვარზე ტივით გადადიოდნენ, ხოლო წყაროებთან არაფერი არ იყო, გარდა უღრანი ტყეებისა, თვითონ წყაროები კი წარმოადგენენ ღრმა ორმოს, რადგანაც წყალი ჩაედინებოდა ბორჯომულაში".**

1838 წელი. ქალაქ გორში დისლოცირებული ცხენოსანთა პოლკის მეთაურის გრაფ ოპერმანის ბრძანებით წყაროსთან ააშენეს ორი ხის ბარაკი, თითოეულში ორი ოთახით. აქ პოლკოვნიკის მეუღლე გრაფინია ჟოზეფინა ოპერმანი მკურნალობდა. პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა, როგორც პოლკის ოფიცერმა, კაპიტნის წოდებით, თავისი საკუთარი ლექსი მიუძღვნა გრაფინია ჟოზეფინას. ამასთან გრაფი ოპერმანი სთხოვდა უფროსებს, რომ ნება დაერთოთ ბორჯომში სამკურნალოდ გაეგზავნათ რიგითი ჯარისკაცები.

40-იან წლებში ბორჯომში არ ყოფილა მოაგარაკელთათვის



ბინები, რასაც ადასტურებს ჩვენი თანამემამულე და საზოგადო მოღვაწე, „ზაკავკაზსკი ვესტნიკის" რედაქტორი ზაქარია ფალავანდიშვილი - **„იმ სოფლის მახლობლად, სადაც მე ათ დღეს ვცხოვრობდი, არის ბორჯომის ხეობა, განთქმული მინერალური წყლებით, რომლებმაც განკურნა კავკასიის მთავარმმართებლის გოლოვინის ქალიშვილი და თვით გოლოვინი. იქვეა ნინო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა (იგი ოთხჯერ ისვენებდა ბორჯომში), მანანა ორბელიანი თავისი ასულით ელენე ერისთავით. მინდოდა ხელახლა ავსულიყავი ბორჯომში, მაგრამ ისინიც კარვებში ცხოვრობენ".**

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე 1842 წლამდე ბორჯომის მინერალური წყლის საბადოები უყურადღებოდ იყო მიტოვებული და იმ პერიოდში კურორტის არსებობაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. მხოლოდ 1842 წლიდან იწყება კურორტის მშენებლობა, რომელსაც ადასტურებს პროფესორი მ. ნოდია, კურორტოლოგი - ლაზარიდიციციშვილი, მედიცინის მეცნიერების კანდიდატი - ვ.პიროჟკოვი, ისტორიკოსები - გ. ხუჯაძე, ვ. აბულაძე, ვ.ტომკიევი, ი.ფაღავა და გ.გაბუნია, პროფესორი ა.ბრგვაძე და სხვები. ამგვარად, ყოვლად დაუშვებელია მინერალური წყლის საბადოსთნ ეპიზოდურად და პრიმიტიულად და თვითნებურად ჩატარებული პროცედურა, გავაიგივოთ კურორტის სახელწოდებასთან, რომელსაც გააჩნდა 8 დამახასიათებელი ნიშან-თვისება და რომელთაგანაც ბორჯომს მხოლოდ ერთადერთი ნიშანი გააჩნდა, კერძოდ, მინერალური წყლის საბადოს არსებობა, რაც კურორტად დასახელებისთვის არასაკმარის (სასტუმროები, სამკურნალო ნაგებობები, სადიაგნოსტიკო კაბინეტები, სპორტული მოედნები, მზითა და ჰაერით სამკურნალო ადგილები, თეატრი, ბიბლიოთეკა, დიეტური სასადილო, კეთილმოწყობილი წყლისა და საკანალიზაციო სისტემები და მრავალი სხვა, რომლებსაც იმ პერიოდში ბორჯომი მოკლებული იყო.). ბორჯომის, როგორც კურორტის მშენებლობა დაიწყო მხოლოდ 1842 წელს, რომელიც 1844 წლამდე ნელი ტემპით მიმდინარეობდა, შემდეგ კი მან ფორსირებული ხასიათი მიიღო, ვორონცოვის ხელშეწყობით.

**მინაწერი:** **გულსატკენია ავტორის მიერ გალიზიანება რუსული გვარების გახსენებაზე. ისტორია არის ხელშეუხებელი მეცნიერება, მოგწონს და ეთანხმები განვითარებულ მოვლენებს თუ არა. კურორტ ბორჯომის წინსვლა-განვითარება უშუალოდ დაკავშირებულია რუსების, გერმანელების, ებრაელების და სხვათა გვარებთან, ასეთია ისტორიული ჭეშმარიტება, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ. საწყენია, რომ იმ პერიოდში ქართული ინტელიგენცია საქართველოს არ გააჩნდა, გარდა ერთეულებისა, რომლებსაც არ შეეძლოთ კურორტის განვითრებაზე და მის ხორცშესხმაზე ზრუნვა. ეს ამოცანა უცხოელების გადასაწყვეტი შეიქმნა და სასახელოდ უნდა ითქვას, მათ იგი პირნათლად შეასრულეს.**

მოამზადა **ვალერიან ლომიძემ.**

(გაგრძელება იქნება)

**გაგრძელება, დასაწყისი იხ. გაზეთი „ბორჯომი" №15, 2023 წელი.**

# მარიამ უნდილაშვილის სამაგალითო პასუხი

**მარიამ უნდილაშვილი ბორჯომის ნავთობის დაღვრაზე რეაგირების უსაფრთხოების ოფიცერია, პარალელურად კი გარემოს დაცვის მაგისტრატურის სტუდენტი და 3 შვილის დედა. იგი პროექტის „ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის" ფარგლებში დაგეგმილ სამეწარმეო ტრენინგზე გავიცანი. მარიანა საოჯახო სასტუმროს მართავს, სწორედ ამიტომ სურდა უფრო სიღრმისეულად გაცნობოდა ამ სფეროს, ჩვენი გაზეთის რესპონდენტს ახალი იდეებიც აქვს, რომლის განხორციელებაშიც ტრეინინგზე მიღებული ახალი ინფორმაციებიც ძალიან დაეხმარება.**

● **რატომ აირჩიე გარემოსდაცვის მიმართულებაზე სწავლა?**

- დღეს მსოფლიო უდიდესი ეკოლოგიური პრობლემის წინაშე დგას, გამონაკლისი არც ჩვენი ქვეყანაა. გარდა იმისა, რომ არსებულ ბუნებას უნდა გავუფრთხილდეთ, სხვა უამრავი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელსაც სამწუხაროდ სერიოზულად არ აღვიქვამთ. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე უფრო სიღრმისეულად შემესწავლა ეს სფერო და ამ პრობლემებთან გასამკლავებლად თუნდაც პატარა წვლილი შემეტანა.

● **სამომავლო გეგმები და იდეებიც გაქვს, რომლებიც გინდა რეალობად აქციო, რას შეცვლის აღნიშნული შენს რეალობაში?**

- ჩემი ამჟამინდელი და სამომავლო გეგმები გარემოს დაცვას და ამ კუთხით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას ეხება, მინდა როგორც ჩემს შვილებს, ისე ყველა ბავშვს ჰქონდეს ჯანსაღი გარემო და ამისათვის ძალისხმევას არ დავიშურებ.

● **როგორც გარემოსდამცველი, რა ქმედით ღონისძიებებს განახორციელებდით საზოგადოებაში?**

- ამ კუთხით, პირველ რიგში ცნობიერების ამაღლებაა უმნიშვნელოვანესი.

● **გაიხსენე, ამბავი რომელიც შენს პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება და დღემდე გახსოვს?**

- წლების წინ მეც ძალიან მწირი ინფორმაცია მქონდა გარემოს დაცვის კუთხით, და პირველად როცა ნარჩენების სეპარირებისთვის ცალ-ცალკე განკუთვნილი ურნები (ქაღალდის, შუშის, პლასტმასის, საყოფაცხოვრებო და ა.შ) ვნახე, ძალიან გამიკვირდა. ერთი შეხედვით ნარჩენების მართვა უმნიშვნელოდ გვეჩვენება, თუმცა დღეს უკვე მსოფლიო გადადის მწვანე ეკონომიკის ფაზაში, ნარჩენების მართვა კი გულისხმობს როგორც ზედმეტი ნარჩენების შემცირებას, ასევე მათ ხელმეორედ გამოყენებას, ეს კი მწვანე ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სექტორია.



● **როგორ გარემოს ისურვებდი ბორჯომში მცხოვრებთათვის და დამსვენებლებისთვის?**

- ისევ და ისევ სუფთა და ეკოლოგიურად ჯანსაღ გარემოს ვისურვებდი, რადგან ვთვლი, რომ ჯანმრთელობა ყველაფრის წინაპირობაა.

● **როგორია შვილებისადმი თქვენი აღზრდის მეთოდები?**

- ვთვლი, რომ მშობლის საქციელი საუკეთესო მაგალითია შვილებისათვის, ამიტომ ჯერ საკუთარ თავში ვცდილობ ნაკლოვანებების გამოსწორებას და კარგი თვისებების განვითარებას. ასე ვცდილობ ვიყო მეგობრული, ვუსმენ და ვითვალისწინებ მათ შენიშვნებსა და რჩევებს.

***P.S.*** **ასეთი სამაგალითო პასუხი გაგვცა მარიანამ შვილებისადმი მისი აღზრდის მეთოდებზე, რომელიც მეუღლესთან, შაკო ულუმბელაშვილთან ერთად 8 წლის გიორგის, 6 წლის ანამარიასა და 5 წლის კატოს ზრდა-განვითარებისთვის ზრუნავს.**

მოამზადა **ია იანვარაშვილმა**

# ქართული ენა - ლაზარეს ენაა!

**14 აპრილს საქართველოში ქართული ენის დაცვის დღე აღინიშნება. დღეს სასაუბრო ენა სავალალო მდგომარეობაშია, ამიტომ ასმაგად უნდა ვეცადოთ ამ უნიკალური დღის მნიშვნელობაზე, უფრო მძაფრად ველაპარაკოთ ახალგაზრდებს, უფრო გავუღვივოთ ენისადმი სიყვარული და ჩავუნერგოთ, რომ მას დაცვა სჭირდება.**

ამ დღესთან დაკავშირებით ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით, სამუსიკო სკოლაში დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. როგორც ქართულ ენას შეშვენის, ისეთი აკადემიური იყო გარემოც და საზოგადოებაც დიდ მოლოდინში ქართული ენის ისტორიის სიღრმეებში გადაეშვა. სკოლის მოსწავლეებმა **ლიზი ჩხეტიამ, მარიამ ტაბატაძემ, ლიზა კობალაძემ და გვანცა მაისურაძემ** ვრცლად წარმოადგინესეს მშობლიური ენის შესახებ ლიტერატურულ-ისტორიული ექსკურსი და კიდევ ერთხელ შეგვახსენეს, თუ როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ ენას საქართველოს ისტორიაში, როგორ ცდილობდნენ მის შებღალვასა და მისი, როგორც სახელმწიფო ენის გაუქმებას. ასევე, მათ კიდევ ერთხელ ისაუბრეს იაკობ გოგებაშვილის ღვაწლზე და მის მიერ შექმნილ ქართულ საგანძურ „დედაენაზე“. ღონისძიება მიმდინარეობდა სამუსიკო სკოლის მასწავლებლების **მარინა რატიანის, თეა მანჩხაშვილის, მარინა ქიტიაშვილის,** მომღერალ **ლევან ნოზაძისა** და ანსამბლ „ოქტავას“ მიერ არჩვეულებრივად შესრულებული მუსიკალური ნაწარმოებების ფონზე. ღონისძიებას ესწრებოდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: **გიორგი ფერაძე, ჯუმბერ კურტანიძე, ნიკოლოზ კიკნაძე,** მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი **ეკა გოშაძე,** კულტურის განყოფილების უფროსი **შალვა გოგოლაძე,** გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები, სკოლების დირექტორები და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები.



ღონისძიების დასასრულს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ყველა სკოლას გენდერული თანასწორობის საბჭოსგან სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ. თუმცა იქვე გამოითქვა აზრიც: რადგან ქართული ენის დღე იყო და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები მიიწვიეს შეხვედრაზე, თუნდაც ერთი ღერი ყვავილის მირთმევა ეს უკვე იქნებოდა მათდამი დიდი ყურადღების გამოხატვა.

ბორჯომის სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც აღინიშნა ენის დღე.

**ხათუნა გვიმრაძე, ლიკანის საჯარო სკოლის დირექტორი:** – ჩვენთან სკოლაში დედა ენის დღესთან დაკავშირებით ღონისძიება ჩატარდა. ღონისძიების „ო ენავ ჩემო, დედაო ენავ“ სულისჩამდგმელი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ნატო სებისკვერაძეა.** მასთან ერთად ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა მუსიკის პედაგოგი **მაია ზეიდელი**. მადლობა მათ შთამბეჭდავი საღამოსთვის. დაუვიწყარი დღე ჩემს საყვარელ მოსწავლეებთან და თანამშრომლებთან, არაფერია იმაზე სასიამოვნო, როდესაც შრომის შედეგს ხედავ მიყვარხათ და მეამაყებით ბავშვებო, მინდა ისეთი ქართული სული გიღვიოდეთ, როგორიც ჩვენს წინაპრებს, რომელთა წყალობით დღეს ჩვენ გვაქვს ჩვენი ეროვნულობა, ენა, სარწმუნოება და იდენტობა შენარჩუნებული, 14 აპრილი „დედა ენის დღეა“ - ასე აფასებს ჩემი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ნატო სებისკვერაძე ამ ღონისძიებას.

ქართული ენის დღისადმი გვესაუბრება ბაკურიანის საჯარო სკოლის ქართული ლიტერატურის პედაგოგი, პროექტის ავტორი: **ნანა მანჯავიძე:** დედაენა ის განძია, რომელსაც არასოდეს არ უნდა შეექმნას საფრთხე, რასაც ყველაზე მეტად სჭირდება დაცვა, გაფრთხილება და სიყვარული - ყველა ადამიანის ვალია. იცავდეს საკუთარ დამწერლობას, იმ ენას, რომელზეც მეტყველებს, აზროვნებს და ურთიერთობს. მე-11ა კლასში განხორციელდა პროექტი - „აი ია“ ასოებზე გაყოლებულ პატარა თითებს, უფლის წინაში სალოცავი ქართული ჰქვია პროექტის ფარგლებში მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები ესტუმრნენ პირველკლასელებ. ისაუბრეს ქართული ანბანის წარმოშობის ისტორიის შესახებ, იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, წაიკითხეს ლექსები დედაენაზე, იმღერეს ქართული ხალხური სიმღერები. (მადლობა, პირველი კლასის დამრიგებელს, ქალბატონ **ეთერ გურეშიძეს**). ღონისძიების დასასრულს მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებმა პირველკლასელებს სიმბოლურად გადასცეს წიგნები და კალმები.

რა თქმა უნდა, ბორჯომის ცენტრალურ ბიბლიოთეკაშიც საბიბლიოთეკო გაერთიანების ორგანიზებითა და №3 საჯარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით ღირსეული დღე მიუძღვნეს ყველაზე დიდ საუნჯეს ქართველთათვის - ქართულ ენას.

**ნაირა ამანათაშვილი, საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი:** ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების V; VI; VII კლასების მოსწავლეები; კონკურსის დაწყებამდე №3 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა **ლიზი ხეთაგურმა** და **მარიამ ქურდაძემ** წარადგინეს თემები ქართული ენის შესახებ. კონკურსის გამარჯვებული გახდა №3 საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე **ანასტასია ჩუტკერაშვილი;** პირველი ადგილის პრიზიორი - №3 საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლე - **ნიკოლოზ ჩადუნელი.** კონკურსის მონაწილე ყველა მოსწავლე დაჯილდოვდება საბიბლიოთეკო კვირეულში. ამჯერად კი ახალი უბნის, წაღვერის, ჩითახევისა და ვაშლოვანი ბიბლიოთეკებში ასევე გაიმართა ღირსშესანიშნავი დღისადმი ღონისძიებები სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეების ჩართულობით.

**მასალები შეკრიბა მონიკა ქანთურიამ**

# ხსოვნა კეთილშობილი ადამიანებისა!

**ცხონებულ ილო ბარბაქაძეს არა მარტო ახალდაბაში, არამედ ბორჯომის რაიონში ნამდვილად გამორჩეული ოჯახი ჰქონდა.**

**ბატონი ილო ბარბაქაძე საკმაოდ ტანმაღალი, ინტელიგენტი, განათლებული, ღირსეული, სამაგალითო პიროვნება გახლდათ. მეცნიერ-მუშაკი იყო, იგი წლების მანძილზე ახალდაბის სატყეო-საცდელი სადგურის უფროსად მუშაობდა, მისი მეუღლე, ქალბატონი მერი ახალდაბის საუბნო პოლიკლინიკის ექიმად მუშაობდა.**

მათი სახლი ამჟამად გაპარტახებულ სკოლა-ინტერნატთან მდებარეობდა და მეუღლეებს სამსახურამდე ფეხით დიდი გზის გავლა უწევდათ. მე მაშინ ძალზე პატარა 10-12 წლის თუ ვიქნებოდი, მაგრამ ძალიან კარგად მახსოვს, როგორ ხვდებოდნენ მათ გზაზე შემხვედრი ახალდაბელები. ბატონი ილო თავის მეუღლეს მიაცილებდა სამსახურამდე, შემდეგ კი გზას (დაახლოებით 2 კმ) აგრძელებდა სატყეო-საცდელ სადგურამდე, საღამოს კი ბატონი მერი დაელოდებოდა მეუღლეს და ხელკავჩაკიდებულნი, მოზომილი ნაბიჯებით მიემართებოდნენ სახლისაკენ, სადაც ასევე უამრავი საქმე ხვდებოდათ. შვილები ქალ-ვაჟი მაშინ პატარები იყვნენ და ცხადია, საოჯახო საქმეში ვერ მოეხმარებოდნენ.

მეუღლეები სანიმუშოები იყვნენ არამარტო სამსახურში, არამედ ოჯახშიც და საზოგადოებაშიც.

კვალიფიციური ექიმი ყოველთვის ჭირდა, მით უმეტეს, თუ ექიმი გულისხმიერებით, ყურადღებიანობით გამოირჩეოდა. აი, ასეთ ადამიანებთან ჰქონდათ საქმე ახალდაბელებს. ქალბატონ მერის მიერ დასმული დიაგნოზი ყოველთვის ზუსტი იყო, სამსახურის გარდა, რა დროც არ უნდა ყოფილიყო, მერი ექიმი ყოველთვის მზად იყო, ავადმყოფები სახლში მოენახულებინა, რის საშუალებაც ქონდა, წამალსაც არ იშურებდა მათთვის.

ამ სულისკვეთებით ცხოვრობდნენ მეუღლეები და შვილებსაც ადამიანების, განსაკუთრებით ხანდაზმულების პატივისცემას ასწავლიდნენ.

მაგრამ ესოდენ ძვირფას ადამიანებს, ცხოვრება დიდ ტრაგედიას უმზადებდა.

მეუღლეებმა შვებულება ზამთრის ბოლოსათვის აიღეს და მოსკოვში აპირებდნენ წასვლას, იფიქრეს, ხაშურამდე ავტობუსს ან ვინმე გამვლელს გაყოლოდნენ.

დიდხანს არ უცდიათ, მათ წინ მანქანა გაჩერდა, მძღოლმა იცნო პატივსაცემი ადამიანები, ხაშურამდე მივდივარ და სიამოვნებით წაგიყვანთო. მეუღლეებს დიდხანს არ უფიქრიათ, ჩაჯდნენ მანქანაში... ქვიშხეთთან, საცალფეხო ხიდთან ხაშურის მხრიდან გიჟივით მომავალი მსუბუქი მანქანის მძღოლი (რომელიც ნასვამი იყო) არაფერს ერიდებოდა, ახალდაბიდან მიმავალ მანქანას დაეჯახა, ამ ავარიას ემსხვერპლა ორი შესანიშნავი ადამიანი. ლამაზი, შინაარსიანი და თითით საჩვენებელი ცოლ-ქმარი - **ილო და მერი ბარბაქაძეები.**

მომხდარმა ტრაგედიამ შეძრა სოფელი (მაშინ ახალდაბა სოფლად ითვლებოდა), არც მეზობელი სოფლები დარჩენილან უყურადღებოდ, ყველამ დიდი წუხილი გამოთქვა ასეთი ძვირფასი ადამიანების ტრაგიკულად დაღუპვის გამო. უამრავი ადამიანი მოვიდა სამძიმარზეც და გასვენებაზეც, გულით დაიტირა ყველამ. გასვენების წინ, ახალდაბაში მოთოვა, თეთრად გადაიპენტა ბუნება, სუფთა გულით და დიდი ტკივილით აცილებდნენ ცხონებულებს.

დრო გავიდა, შვილები დაიზარდნენ, ნიჭიერებმა გზა გაიკვლიეს, დღეს თბილისში ცხოვრობენ და მშობლების კეთილ გზას აგრძელებენ. ვუსურვოთ მათ რომ მშობლების სახელი არასოდეს შეერცხვინოთ.

**ჩემი წერილის აწ გარდაცვლილ გმირებს ნათელი და სანთელი არ მოკლებოდეთ. 18 აპრილი ხომ მიცვალებულთა მოხსენიების დღეა, ხსოვნა მათ სულებს.**

**ნათელში იყავით ბატონო გოგი, დალოცეთ თქვენი ტკბილი ოჯახი.**

**თემურ ხუხუნაიშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

### მიუსაფარი ცხოველების პრობლემების შესახებ

# როცა სულიერს ეხები, იქ შეცდომა დაუშვებელია

**მიუსაფარი ცხოველების პრობლემა რომ ბოლო რამდენიმე წელია მწვავედ დგას ჩვენ ქვეყანაში და კერძოდ, ბორჯომში, ამაზე უკვე აღარავინ დაობს. ერთია, როდესაც ცხოველს უპატრონოდ, სიცივესა და ყინვაში უწევს მშიერ-მწყურვალს ყოფნა და მეორეა, როდესაც ადამიანები ან სატრანსპორტო საშუალებები (რომლებსაც ისევ ადამიანები მართავენ) უპატრონოდ ქუჩაში მყოფებს ასახიჩრებენ და უმოწყალოდ სცემენ.**

**ბორჯომში მცხოვრები ვეტერინარი მიშა ლაბარაშვილი ალბათ ერთადერთი ადამიანია, ვინც ხშირ შემთხვევაში საკუთარი ძალებით ცდილობს, უმკურნალოს ავადმყოფ და დასახიჩრებულ ცხოველებს. სოციალურ ქსელში მის პირად გვერდზე რამდენჯერ შემხვდა ადამიანების მიერ ნაცემი ცხოველების ფოტოები წარწერებით: „რეები არ ხდება, ეს რა სადისტობაა“, „ასეთებს ნულა აკეთებთ, სკამი ხომ არაა, სულიერია“. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც ადამიანთა ჯგუფები დაზიანებული და დასახიჩრებული ცხოველების ხარჯზე ფულსაც კი შოულობენ, დებენ მათ ფოტოებს და ცდილობენ ანგარიშზე ჩაარიცხინონ თანხა მოქალაქეებს, რაც ყოვლად დაუშვებელია.**

**რამდენად ხშირია მსგავსი ფაქტები და რაში ხედავს მიშა გამოსავალს, ამ და სხვა საკითხების ირგვლივ ვთხოვეთ ჩვენთან ესაუბრა.**

**● რამდენად ხშირად მოგმართავთ საზოგადოება დახმარებისთვის, რომ სადღაც უპატრონოდ ქუჩაში მიტოვებულ ცხოველს შველა სჭირდება?**

– სიხშირეს რაც შეეხება, თითქმის ყოველდღიურად ხდება რაღაც ახალი, მირეკავენ რაიონის სხვადასხვა სოფლებიდან და სხვა ქალაქებიდანაც. ზოგს მხოლოდ მოყავს, ზოგი მეხმარება კიდეც მედიკამენტებით, ზოგსაც ჩემით ვუვლი და არ ვამჟღავნებ, რადგან ამ ყოველივეს „ლაიქისთვის“ არ ვაკეთებ. მე ადამიანი ვარ და ცხოველზე მეტი აზრი და შესაძლებლობა იმიტომ გვაქვს, რომ დავეხმაროთ სულიერ არსებას.

საქართველოში დიდ პრობლემას წარმოადგენს მიუსაფარი ცხოველების თემა.. სამწუხაროდ, ბევრ ადამიანს, ლეკვი სანამაა, მანამდე მოსწონს, ხოლო როდესაც გაიზრდება, ქუჩაში აგდებს. ბევრი იკარგება და ამასობაში მიდის მასობრივი გამრავლება. სამწუხაროდ, ცხოველებს თვითონვე უწევთ საკუთარი ლეკვების გამოკვებაც და თავშესაფრის გამონახვაც... სწორედ აქედან გამომდინარე, ხშირად უწევთ სატრანსპორტო გზების სიახლოვეს მოძრაობა, ხშირია მანქანისგან ცხოველის დაზიანების შემთხვევები. ამას გარდა, არსებობს ბევრი ხეპრე და უგულო ადამიანი ვინც ერჩის და გამიზნულად აზიანებს ცხოველს. მიუხედავად იმისა, აგრესია აქვთ თუ არა მათ მიმართ ცხოველს... კერძო ვეტერინარი ვარ და არავინაა ჩემი დამხმარე. მედიკამენტებსა თუ სხვა საჭიროებებზე, თუნდაც ტრანსპორტირებაზე თვითონ ვზრუნავ... არიან ადამიანები, ვისაც შესტკივათ გული და ხარჯსაც წევენ მათ დასახმარებლად, მაგრამ უმეტესობა მხოლოდ იმაშია მარჯვე, ფოტო გადაუღონ და ატვირთონ, რომ დაინახონ ტრამვირებული ძაღლი, ამით სხვებისგან მოითხოვენ დახმარებას. ეს ცხოველის სიყვარული არაა, უფრო რაღაც მოდას აყოლაა.

**● რაც შეეხება ცხოველების ხარჯზე ანგარიშების შექმნას და ვითომ მათ დახმარებას, ამაზე რას გვეტყვი?**



– კარგი იქნება თუ აიკრძალება ყოველი მეორე ადამიანისგან ავადმყოფი ცხოველის ფოტოს გამოაშკარავება და თანხების გროვება..

მე, როცა მაქვს საშუალება, არც არავის ველოდები, არც ანგარიშებს ვდებ, რომ ცხოველის ხარჯზე ფული ვიშოვო და რაც შემიძლია, ვაკეთებ, მაგრამ არც ვყვირი და არც ვამბობ. იმიტომ რომ, ვეტერინარი ვარ, გული შემტკივა და ჩემს ვალდებულებად ვთვლი.

**● საუბარია იმასთან დაკავშირებით, რომ 2024 წლიდან ცხოველთა თავშესაფარი აშენდება, რამდენად მნიშვნელოვანი იქნება ეს ჩვენი რეგიონისთვის?**

– აუცილებლად უნდა აშენდეს თავშესაფარი, ისეთი, სადაც აცხოვრებენ ამ ცხოველებს. რა თქმა უნდა, მკაცრად უნდა გაკონტროლდეს მათი მოვლაც და კვების საკითხიც, რომ ყველამ ძაღლების ხარჯზე არ მოინდომოს გამდიდრება.. მე ჩემი პროფესიით საარსებო წყარო მაქვს და თავისთავად გასამრჯელოსაც ვიღებ, მაგრამ თუ არ აქვს მეპატრონეს საშუალება, უფასოდაც ვემსახურები.

კარგი იქნება თუ შეიქმნება გარკვეული სახის ფონდიც, საიდანაც ვეტერინარებს გადაეცემათ ცხოველთა მკურნალობისათვის საჭირო თანხა, რაც მეტ შესაძლებლობას მისცემს ვეტერინარებსაც, რომ მეტი პასუხისმგებლობით აკეთონ საკუთარი საქმე.

სანამ ასეთი თავშესაფარი არ გაგვაჩნია, ჯერჯერობით, მე პირადად ამ ეტაპზე თითქმის ყოველდღიურად მიწევს ბევრი ონლაინ რჩევის მიცემა. მე ასე მესმის, რომ როცა სულიერს ეხები, იქ შეცდომა დაუშვებელია, რადგანაც, ცხოველი მანქანა არაა, რომ სხვადასხვა ხელოსანი მოატარო.

**ესაუბრა ნატო მელიქიძე**



პოეზიის კუთხე

## ქრისტე აღსდგა!

ქრისტე აღსდგა სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი,
ხარობს ყველა, ყველაფერი, დედამიწა, მთა და ველი,
და სიკვდილი, თვით მოიკლა, გამოსყიდვა მოხდა დიდი,
იმ ცოდვისგან დახსნილი ვართ ყველა, პატარა თუ დიდი.

ჯვარს გაეკრა, ჩვენ კაცთათვის, თვისი სისხლით გვიხსნა ღმერთმა
და გვაბრუნა სიკვდილიდან სიცოცხლეში ერთადერთმა,
კვლავ უკვდავნი შევიქმნებით, თუ ვიცხოვრებთ ღვთისთვის სათნოდ,
მარადიულ ცხოვრებაში შეგვეგებება - ვინარნაროთ.

და ჩვენც როგორ არ ვუსმინოთ ეკლესიის მომხმობ ზარებს,
გამარჯვებულ ბრძოლაში ვართ, თუ ვენდობით, შევიყვარებთ.
ღმერთს, იესოს მთელი ძალით, გონებით და მთელი გულით
აღვიარებთ ჩვენს შემოქმედს, ვუერთგულებთ სიყვარულით.

გიხაროდენ, ზეიმობდებთ, ქრისტე აღსდგა, თუმც ჯერ ევნო,
მოგილოცავთ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს საყვარელნო,
მივულოცავ დედამიწას, იზეიმეთ ხალხნო, ერნო.
სულდგმულნო და ანგელოზნო, იზეიმეთ ერნო, ბერნო,
ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად, გიხაროდეთ საყვარელნო.

**ოლიკო ლომიძე.**

## მრძნული აზრები



მოძრაობა სიცოცხლეა
ყოველი სულდგმულისთვის,
ნებისმიერ არსებისთვის,
ნებისმიერ გულისთვის.

მოზარდი ბოროტ გულისა
ნერგია სიძულვილისა.

რაც გვაწუხებს,
ის გვამწუხრებს.

ჯანმრთელობის წამალია
მოძრაობა, სიარული,
სითბო, სიტკბო, სიყვარული,
სიმშვიდე და სიხარული.

ყოველ სულდგმულ-სულიერს
ყავს თავისი მტერი,
როგორც ყოველ სოფელს
რეგვენი და შტერი.

ეჭვიანობა სულისა,
მტერია სიყვარულისა.

თუ გინდა, რომ სევდა-დარდი
არ მოგაწვეს თვალებში,
არასოდეს არ შეხვიდე
დაუძლეველ ვალებში.

კაცი ჩამდენი ავისა,
მტერია თავის თავისა.

საკუთარი თავის მტრობა
არის კაცის მარტოობა.

კახპებისთვის სულ ერთია
პეტრე, პავლე, გივი,
მათთვის ბედნიერება
სულ სხვადასხვა ხილია.

დრო ყველაფრის მკურნალია,
ყოველ ლხინის, ჭირის,
გარდა შავი სიკვდილის და
სახელგატეხილის.

ხათრი გქონდეს მეზობლის,
სიყვარული მეგობრისა.

ხე ნაყოფით ფასდება,
კაცი, ჭკუა-გონებით,
ორივე კი ქონებით.

ვიბადებით რისთვის?
ტანჯვა-წვალებისთვის.

სადაც არავინ არ გესალმება,
იქ არაფერი არ გესაქმება.

ჭკვიანი კითხულობს,
უვიცი სირცხვილობს.

არასოდეს არ დაკარგო
იმედი და რწმენა,
რაც აუცილებელია
ვით ხედვა და სმენა.

ბრძოლით ხდება ყველაფერი,
უბრძოლველად ვერაფერი.

თუ გინდა რომ ბედნიერად
იყო და იცოცხლო,
სადაც გშობეს და გაგზარდეს
იქ უნდა იცხოვრო.

მუდამ გახსოვდეს მცნება მთავარი:
სიკვდილის გარდა ამქვეყანაზე
ყველაფერსა აქვს გამოსავალი.

ყველაზე საშიშია
ღრმად გავარდნილი ტყვია.

**გურამ ქუნცელი (ივანიძე),**
საქართველოს ჟურნალისტთა
შემოქმედებითი კავშირის წევრი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზეთი „ბორჯომი“ №14

(გაგრძელება იქნება)

## ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისათვის




**პროექტი „ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის“ RDY იწვევს 18-35 წლის ახალგაზრდებს სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან, რათა განავითარონ სამეწარმეო უნარები და შექმნან მდგრადი, ახალი ან არსებული ახალგაზრდული საწარმო.**

ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის (RDYE) არის 3.5 წლიანი პროექტი, რომელსაც ახორციელებს მერსი ქორფსის წარმომადგენლობა საქართველოში (Mercy Corps Georgia) ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) დაფინანსებით.

პროექტის განხორციელების მხარდამჭერები არიან ლიბერთი ბანკი და სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდი.

RDYE პროექტის ერთ-ერთი სამიზნე მუნიციპალიტეტია:
**სამცხე-ჯავახეთი – ბორჯომი, ასპინძა, ადიგენი, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა.**

პროექტის პირველი ეტაპი წარმატებით განხორციელდა და 704 ახალგაზრდამ მიიღო შესაბამისი ცოდნა საწარმოების მართვისა და განვითარების მიმართულებით.

RDYE პროექტის მეორე ეტაპის ფარგლებში დაგეგმილია 800-მდე ახალგაზრდის გადამზადება. მეორე ეტაპის ორდღიანი საბაზისო სამეწარმეო ტრენინგები უკვე დაწყებულია. **სამიზნე მუნიციპალიტეტებში და მათ შორის, ბორჯომში უკვე სამი სასწავლო ტრენინგი ჩატარდა, სადაც 50-ზე მეტი ახალგაზრდა გადამზადდა და მიიღო შესაბამისი სერტიფიკატი მეწარმეობის მიმართულებით.**

ბორჯომში ტრენინგს წარმართავდნენ ტრენერი **ლანა ჩადუნელი** და **შალვა ოთანაძე.** მათ შექმნეს მეგობრული განწყობა და მონაწილეებისგან ღია კითხვების საშუალებით ნებისმიერ დასმულ შეკითხვას პასუხობდნენ.

- ნებისმიერი იდეის გენერირება, განხორციელებაში ძალიან დამეხმარება. სიახლეეებიდან ღირებული შეთავაზების ტილოს გამოვყოფდი. ღირებულების შეთავაზების ტილოს მეშვეობით, ჩვენ შეგვიძლია კარგად განვსაზვროთ თუ რა პრობლემას უგვარებს მომხმარებელს ჩვენს მიერ მიწოდებული პროდუქტი, - აღნიშნა ტრენინგის მონაწილე **მარიამ უნდილაშვილმა.**

საერთო ჯამში, პროექტი ხელს შეუწყობს 1,500-ზე მეტ 18-35 წლის ახალგაზრდას (50 ქალი), მათ შორის, ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობების წარმომადგენლებს, მაღალმთიანი სოფლების მკვიდრებს, ეკომიგრანტებს, იძულებით გადაადგილებულ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, განავითარონ სამეწარმეო უნარები და შესაძლებლობები, რათა შექმნან 50-ზე მეტი მდგრადი, ახალი ან გააფართოვონ უკვე არსებული, ახალგაზრდების მიერ მართული სოფლის მეურნეობისა და არასასოფლო-სამეურნეო საწარმო ბიზნესი.

RDYE პროექტზე რეგისტრაცია გრძელდება

რეგისტრაცია შესაძლებელია ონლაინ - ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ან მოცემული QR კოდების მეშვეობით.

## მშვიდობით, მზია მასწავლებელო!



სამწუხარო ამბის გაგებისას, იმ წამს გულში ტკივილი ვიგრძენი და ცრემლები მომადგა. ჩვენი თბილი, მოსიყვარულე, თავმდაბლობით გამორჩეული მზია მასწავლებელი ჩვენგან წასულა... მარადისობაში გადაინაცვლა, ამბობენ ასეთ წმინდა დღეებში გარდაცვლილი პირდაპირ სამოთხეში ხვდებაო. სხვაგვარად, ვერც იქნებოდა ისეთ კეთილშობილებას ვხედავდი მზია აბრამაშვილთან ყოველი შეხვედრისას. ის ჩემი შვილის, ანასტასიას სოლფეჯიოს მასწავლებელი და მეგობარიც იყო.

– არა, მე სხვა მასწავლებელთან არ მინდაო, მანაც ბავშურად განიცადა და შეკრთა მზია მასწავლებლის გარდაცვალება რომ გაიგო.

მომენატრებით, შეხვედრამდე.

ჩემს გონებაში რჩებით ადამიანები ვისთანაც მუდამ ვისურვებდი შეხვედრას.

**იზა იანვარაშვილი**

**ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა მწუხარებით იუწყება სკოლის პედაგოგის, კოლეგისა და მეგობრის**
**მზია აბრამაშვილის**
**გარდაცვალებას და თანაგრძნობას ვუცხადებთ გარდაცვალებულის ოჯახს.**



**ლალი ხუჭუა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება ერთგული მეგობრის**
**მზია აბრამაშვილის**
**გარდაცვალებას და უსამძიმრებს ნინო სახვაძეს დედის გარდაცვალების გამო.**

## მიშიკო ოგანეზოვის, დათო პოპოვის, ალან ხუბაევის და სამველ მოსესოვის გახსენება






თვალის დახამხამებაში გაიქროლა უთქვენოდ გატარებულმა ცხრამეტმა წელმა. აპრილის დადგომა კი მუდამ გულს მტკივნეულად გვიკუმშავს, არ განელებულა შემზარავი მოგონება იმ შავბნელი დღისა, რომელმაც თქვენი სიცოცხლე ასე ულმობელად წაგვართვა. თქვენი ახალგაზრდა და ღიმილიანი სახეები თვალწინ გვიდგას. ჩვენო შვილებო, ტკივილი და მონატრება არ განელდება არასოდეს, იზრდებიან თქვენი ძმისშვილები და დისშვილები, მათით ვხარობთ და თქვენს დანაკლისს ამით ვინაზღაურებთ.

ნათელში იყავით, ჩვენო ბიჭებო!

**თქვენი მშობლები**

**თემურ ხუხუნაიშვილი და ომარ აბრამაშვილი ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ველერიან ლომიძეს მეუღლის**
**ლია ბიბილაშვილი-ლომიძის**
**გარდაცვალების გამო.**



ახლო მეზობლები: ომარ კიკაძე, გია, ნიკა, გელა გელაშვილები, ციცო ვარდიძე, გოგი, ნათელა ბეთიაშვილები, მერაბ ტალახაძე, ავთო ხრიკაძე, ბერიკა ქურდოვანიძე, დათო ბლიაძე, ვასო მჭედლიძე, ხათუნა მიქელაძე, თეა ნიკოლაიშვილი, მანანა, მაკა ტაბატაძეები, ჯემალ გუგუბერიძე, ჯემალ ჩადუნელი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბონდო გოგოლაძის მეუღლე

**ნორა მაღლაკელიძე**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „ქაარში“. თბილისი, თევდორე მღვდლის №57.

borjomi@inbox.ru

რედაქტორი: ვალერიან ლომიძე